

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45
2014 წლის 23 ოქტომბერი

ქ. ქარელი

„ქარელის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 6 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი-მე-2 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქარელის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 6 დეკემბრის №29 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 13/12/2013; 190020020.35.144.016132) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წ ფაქტი	2013 წლის ფაქტიური			2014 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,273.3	11 355,5	4 509,1	6 846,4	10479.04	3048.1	7430.94
გადასახადები	657.2	489,2	0,0	489,2	450.0	0.0	450.00
გრანტები	10,972.5	9 789,1	4 509,1	5 280,0	9309.2	3048.1	6261.10
სხვა შემოსავლები	643.6	1 077,2	0,0	1 077,2	719.84	0.0	719.84
ხარჯები	7,296.4	6 730,8	962,5	5 768,3	7599.96	755.72	6844.24
შრომის ანაზღაურება	1,622.3	2 460,2	0,0	2 460,2	2181.4	0.0	2181.4
საქონელი და მომსახურება	946.3	990,9	8,9	982,0	1355.20	10,75	1344.45
სუბსიდიები	1,010.5	1 363,2	40,5	1322,7	1620.20	0.0	1620.20
გრანტები	2,210.0	0,0	0,0	0,0	0.0		



სოციალური უზრუნველყოფა	709.5	1 190,5	589,6	6	638.45	0.0	638.45
სხვა ხარჯები	797.8	726,1	323,5	402,6	1804.71	744.97	1059.75
საოპერაციო სალდო	4,976.9	4 624,7	3 546,6	1 078,1	2879.08	2292.38	586.70
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,471.8	3 579,9	2405,3	1 174,6	4668.22	3449.78	1218.44
ზრდა	5,899.1	3 606,0	2 405,3	1 200,7	4686.22	3449.78	1236.44
კლება	427.3	26,1	0,0	26,1	18.0	0.00	18
მთლიანი სალდო	-494,9	1 044,8	1 141,3	-96,5	-1789.14	-1157.40	-631.74
ვალუტა და დეპოზიტები	49.1	1 141,3	1 141,3	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	49.1	1 141,3	1 141,3	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	544,0	96,5	0,0	96,5			
კლება	544,0	96,5	0,0	96,5	1789.14	1157.40	631.74
ვალდებულების ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012	2013 წლის ფაქტიური			2014 წლის გეგმა		
	ფაქტი	სულ	მათშორის		სულ	მათშორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12,700.6	11 381,6	4 509,1	6 872,5	10497	3048.1	7448.9
შემოსავლები	12,273.3	11 355,5	4 509,1	6 846,4	10479	3048.1	7430.9
არაფინანსური აქტივების	427.3	26.1	0.0	26.1	18.0	0.0	18.0



კლება							
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13,195.5	10 336,8	3 367,8	6 969,0	12286.2	4205.5	8080.7
ხარჯები	7 296,4	6 730,8	962,5	5 768,3	7599.96	755.72	6844.24
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,899.1	3 606,0	2 405,3	1 200,7	4686.22	3449.78	1236.44
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთისგამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-494,9	1 044,8	1 141,3	-96,5	-1789.1	-1157.4	-631.7

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10479.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,273.3	11 355,5	4 509,1	6,846.4	10479.0	3048.1	7430.9
გადასახადები	657.2	489,2	0.0	489,2	450.0	0.0	450.0
გრანტები	10,972.5	9 789,1	4 509,1	5 280,0	9309.20	3048.1	6261.10
სხვა შემოსავლები	643.6	1 077,2	0.0	1 077,2	719.8	0.0	719.8

დ) დადგენილების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9 309.2 ათასი ლარის ოდენობით:

	2012 წ ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
--	-----------------	-----------------	-----------------



დასახელება	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	10,972.5	9 789,1	4 509,1	5 280,0	9309.2	3048.1	6261.1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10,972.5	9 789,1	4 509,1	5 280,0	9309.2	3048.1	6261.1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,670.9	5,280.0	0.0	5,280.	6261.1	0.0	6261.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,465.9	5,075.0		5,075.0	6048.1		6048.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	205.0	205.0		205.0	213.0		213.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5,301.6	4 509,1.5	4 509,1.5	0.0	3048.1	3048.1	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა, მათ შორის:	2,840.0	2 908,7	2 908,7	0.0	2024.4	2024.4	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველადი განაწილება	1,250.0	2 837,5	2 837,5		2024.4	2024.4	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სხვა თანხა	1,590.0	71.2	71.2		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,026.4	1,041.4	1,041.4		1023.7	1023.7	0.0
საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	1,130.0	0.0			0.0		
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	305.2	559,0	559,0		0.0		

ე) დადგენილების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 719.8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	643,6	1077,2	719.8
შემოსავლები საკუთრებიდან	57,0	230,5	168.8
პროცენტები	0,1	35,6	63..8
რენტა	56,9	194,9	105
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	50,1	165,8	90.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	6,8	29,1	15.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	140	161.9	140.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	130	139.8	130.0
სანებართვო მოსაკრებელი	10	23.8	10.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	120	115.6	120.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		0.4	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	10	22.1	10.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	10	22.1	10.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	684.8	684.8	411
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0	0,0	0.0

ვ) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7599.96ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,296.4	6730,8	962,5	5768,3	7599.96	755.72	6844.24
შრომის ანაზღაურება	1,622.3	2460,2	0.0	2460,2	2181.40	0.0	2181.40



საქონელი და მომსახურება	946.3	990.9	8.9	982,0	1355.20	10,75	1344.45
სუბსიდიები	1010,5	1363,2	40.5	1322,7	1620.2	0.0	1620.2
გრანტები	2210,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	709,5	1190,5	589,6	600,9	638.45	0.0	638.45
სხვა ხარჯები	797,8	726,1	323,5	402,6	1804.71	744.97	1059.75

ზ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4686.22 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4686.22 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2012 წ ფაქტი	2013 წ ფაქტი	2014 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და დამსარულელებელი ორგანოების დაფინანსება	288.9	72,3	170.21
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	19.3	0,0	3.10
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5,590.9	3523,5	4497.01
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	0,0	10,2	15.90
სულ ჯამი		5899,1	3606	4686.22

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 18.0 ათ ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2012 ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	427,3	26,1	0.0
ძირითადი აქტივები	62,1	0,0	0.0
არაწარმოებული აქტივები	365,2	26,1	18
მიწა	365,2	26,1	18

თ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2012 ფაქტი	2013 ფაქტი	2014 გეგმა



701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,325.1	2795,1	2754.6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,304.5	2795,1	2754.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,304.5	2795,1	2640.7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	120	113.9
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში		0.0	0.0
702	თავდაცვა	107.3	118,8	128.2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	328.6	299,3	317.9
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	104.3	0.0	0.0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	224.3	299,3	317.9
704	ეკონომიკური საქმიანობა	3,648.2	2742,4	2468.7
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	149.5	81,9	989.5
70421	სოფლის მეურნეობა	149.5	81,9	989.5
7045	ტრანსპორტი	3,498.7	2660,5	1479.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,498.7	2660,5	1479.1
705	გარემოს დაცვა	977.9	371,3	923.4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	197.3	277,4	458.2
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	780.6	93,9	465.2
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,002.6	1302,2	2587.5
7061	ბინათმშენებლობა	13.2	14.8	12.1
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	238.5	6,9	3.0
7063	წყალმომარაგება	491.4	328,5	567.2
7064	გარე განათება	228.7	200,4	200.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,030.8	751,6	1804.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	74.0	74.0	80.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	74.0	74.0	80.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	590.5	810,9	753.1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	155.0	220,8	248.1
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	355.5	455,3	397
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	80.0	135,0	108



709	განათლება	491.8	689,0	1674.4
7091	სკოლამდელი აღზრდა	472.4	668,3	1654.4
7092	ზოგადი განათლება	3.4	1,7	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	3.4	1,7	0.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	16.0	19,0	20.0
710	სოციალური დაცვა	649.5	1133,8	598.5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	49.8	44,2	50.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	260.0	413,7	433.2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	339.7	675,9	115.3
	სულ	13,195.5	10 336,8	12286.2

ი) დადგენილების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება. საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრების, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით სახანძრო სამაშველო სამსახურის შენობის რეაბილიტაცია და კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო და მაღალგამავლობის ავტომობილის შეძენა, რაც აუცილებელია მშველების ოპერატიული მოქმედებისათვის.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქარელის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. ასევე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 17 წლამდე ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა. ყოველი წლის გაზაფხულზე ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რეზერვისტთა გადამოწმება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების და



შესასვლელების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მგომარეობის შენარჩუნება, ორმოულების შეკეთება, ზამთრის სეზონზე ქუჩების თოვლისაგან გაწმენდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოასფალტდება ქარელისა და აგარის ასფალტის გარეშე ქუჩებს. ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა გზების მოხრეშვა-მოშანდაკება. 2014 წლის 13 იანვრის №34 მთავრობის განკარგულებით გამოიყო 30 000 ლარი ქ.ქარელის ქუჩების გზების რეაბილიტაციის პროექტირებისთვის. 2014 წლის 20 მარტის საქართველოს მთავრობის №471 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 145 272 ლარი 17 სოფელში შიდა გზებისა და ხიდების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის. ასევე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის #641 განკარგულებით გამოიყო 1 076 763 ლარი ქ. ქარელის ქუჩების ასფალტირების სამუშაოების დასაფინანსებლად.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა. დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება საკანალიზაციო და წყლის სისტემებს, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.2.1 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია. ასევე იგეგმება მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების ქსელის გაფართოვებაც. მიმდინარე წელს ექსპულატაციაში შევიდა სოფელ ბრეთის, ქვემო ხვედურეთის, კეხიჯვრის, დირბის, ბრეთის მეურნეობის დაბა აგარის და სოფელ ბეზნისის გარე განათებები. რომელშიც დაიხარჯა 65 999 ლარი.

2.2.2 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აღნიშნული პროგრამა მოიცავს ქ. ქარელის, დ. აგარის, სოფლების: ქვენატკოცა, ბეზნისი, ქვემო ხვედურეთი, ზემო ხვედურეთი, კეხიჯვარი, ქობესაანთ უბანი, თათანაანთ უბანი, სამწევრისი, რუისი, ურბნისი, ბრეთი, საღოლაშენი, არადეთი, წვერი, სასირეთი, ბრეთის მეურნეობა, ძლევიჯარი მოსახლეობიდან, ასევე ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან, აგრეთვე სოფ. ახალსოფლის და სოფ. მოხისის დევნილთა ჩასახლებებიდან ნარჩენების გატანის და ქუჩების დაგვა-დასუფთავების ღონისძიებებს. აღნიშნულ პროგრამაში ასევე ჩაერთო და ნარჩენების გატანა მოხდება სოფელ დირბში, ახალსოფლში და მოხისში მცხოვრები მოსახლეობიდან. ასევე შეძენილია 60 ცალი ნაგვის ურნა 41 940 ლარის ღირებულების. ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

2.2.3 საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქარელში და აგარაში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. აღნიშნული პროგრამის განხორციელება მცხოვრებლებს გადაუჭრის წლების განმავლობაში არსებულ საკანალიზაციო სისტემასთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2014 წლის 20 თებერვლის #306 მთავრობის განკარგულებით გამოიყო 8175 ლარი ქ.ქარელის და დაბა აგარის საკანალიზაციო სისტემის



რეაბილიტაციის პროექტირებისთვის. 2014 წლის 13 იანვრის # 34 მთავრობის განკარგულებით საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 266 460 ლარი რითაც მოხდება, დაბა აგარაში სტალინისა და მესხის ქუჩების საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოები გააუმჯობესებს სავარაუდოდ 2000 მაცხოვრებლის სოციალურ პირობებს.

2.2.4 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ არსებობს სასმელი წყლის პრობლემები. მოძველებულია და მწყობრიდანაა გამოსული სასმელი წყლის შემკრები აუზები და შიდა გაყვანილობები. ქვეპროგრამის ფარგლებში 2014 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფ. ზ/ხვედურეთის სასმელი წყლის სისტემას რაც დაჯდა 370 000ლარი რამაც გააუმჯობესა მოსახლეობას ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პირობები. 2014 წლის 20 მარტის საქართველოს მთავრობის #471 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის 21 სოფლის სასმელი წყლის სისტემებს, რაც მოსახლეობას გადაუჭრის წლების განმავლობაში არსებულ პრობლემებს და გააუმჯობესებს ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პირობებს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად გამოყოფილია 116 190 ლარი.

2.2.5 სოფლის ცენტრების, სკვერების და პარკების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 06)

მოსახლეობის დასვენების მიზნით 2014 წლის 20 მარტის საქართველოს მთავრობის #471 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერის მოწყობის სამუშაოები სოფლებში: აბისისთავი, აგარა, თათანაანთ უბანი, რუისი.

2.2.6 საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების და მიწების ელექტრონული ნახაზებისა და საკადასტრო გეგმების მომზადება.

2.2.7 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)

მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ არსებობს სარწყავი წყლის პრობლემა, ხშირად საჭირო ხდება სარწყავი არხებისა და მდინარეების კალაპოტების გაწმენდა. ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე არსებული ირიგაციის სისტემის სარეაბილიტაციო და მოვლა-შენახვის სამუშაოები. 2014 წლის 13 იანვრის №34 მთავრობის განკარგულებით ძამის კალაპოტის გამაგრების სამუშაოების ჩასატარებლად გამოიყო 642 999 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე იგეგმება სოფლების: მეხეთი, ორთუბანი და ქობესაანთ უბანი სარწყავი სისტემების მოწყობა 2014 წლის 20 მარტის საქართველოს მთავრობის №471 განკარგულებით (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) გამოყოფილი თანხებით (10 749 ლარი), რაც საშუალებას მისცემს სოფლის მოსახლეობას გაზარდონ საკუთარი შრომის ნაყოფიერება.

2.2.8 ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 10)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) გამოყოფილი თანხებით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ. ყინწვისში და ბანში წისქვილის, სოფლებში: ჯაგარაანთკარი, კუდატყე, ტყემალა, ტყემლოვანა მზის ენერგიის გამოყენებით და მინი ჰესის მოწყობით ელექტრო ენერგიის სისტემების მოწყობის და წიფლოვანაში ელ. ენერგიის ტრანსფორმატორის მონტაჟის სამუშაოები. აღნიშნული ქვეპროგრამა ხელს შეუწყობს მთის სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას და მოსახლეობის სოფლებში დაბრუნებას.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, მოეწყობა საბავშვო და სპორტული



სტადიონები, სადღესასწაულო დღეებში დაგეგმილია ქალაქ გაფორმებითი ღონისძიებები.

2.3.1 გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. გამწვანების ზოლი მოეწყობა ქარელში ნინოშვილის, 9 აპრილის, სტალინის ქუჩებზე და დაბა აგარის სკვერში, ხოლო ახალი ხეები დაირგვება ქარელში სტალინისა და ჭავჭავაძის ქუჩებზე. აღნიშნული ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს ქ. ქარელში ნინოშვილის ქუჩაზე არსებული შადრევნის მოვლა-შენახვას.

2.3.2 ქალაქის ქუჩების, შენობების, ეზოებისა და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქალაქის ქუჩებისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ქარელში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ განვითარებას და დასვენებას.

2.3.3 სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ქარელში სპორტული მოედნის მოწყობის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) გამოყოფილი თანხებით სოფ. ბერძენაულში სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს ახაგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

2.3.4 სარიტუალო სახლების მშენებლობა და აღჭურვა (პროგრამული კოდი 03 04 04)

სოფლების ცხოვრების დონის ამაღლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის #471 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 30 სოფელში ჩატარდება სარიტუალო დარბაზების მშენებლობების სამუშაოები და მოხდება მათი ნაწილის ინვენტარით აღჭურვა.

2.3.5 ეკლესიებისა და სასაფლაოების შემოღობვა (პროგრამული კოდი 03 04 05)

სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 6 სოფელში: აბანო, ძლევიჯვარი, სანებელი, კოდავარდისუბანი, ფცა, თამარაშენი ჩატარდება სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სწავლა-განათლება და მათი მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა როგორც სკოლამდელი, ასევე სკოლისშემდგომი ასაკის ახალგაზრდებისათვის. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგანმანათლებლო ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ საფუძვლის შექმნა მათი შემდგომი განვითარებისათვის. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გახსნა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ადამიანის სწორი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა სკოლამდელი აღზრდა. მუნიციპალიტეტში ამ ირავაზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს



980-ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები და დაგეგმილია უმეტესი აღნიშნული საბავშვო ბაღების სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა აგარის, სოფ. ქვენატკოცის, კეხიჯვარის და რუისის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოები.

3.2 მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქარგვის, ხალიჩების ქსოვის, თექაზე მუშაობის, კულინარიის და სხვადასხვა მუსიკალურ ინტრუმენტებზე დაკვრის შემსწავლელი კურსები. მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

2014 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდობში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მოზადებისათვის სასწავლო-საწრთვინი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2014 წლის განმავლობაში 550 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

